ჯიბე

შენი აზრით, რა დანიშნულება აქვს ჯიბეს? შეადარე შენი მოსაზრება ტექსტში მოცემულ ინფორმაციას.

ჯიბე ყველა ტანსაცმელს შეიძლება ჰქონდეს. ჯიბეს აკერებენ კაბაზე, პერანგზე, პალტოზე, პიჯაკზე... ზოგ ტანსაცმელს ერთი ჯიბე აქვს, ზოგს – ორი და მეტი. ზოგი ჯიბე დიდია, ზოგი – პატარა. მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. პიჯაკის ზედა ჯიბეში ცხვირსახოცს დებენ. გულის ჯიბეში საბუთს ინახავენ, ქვედა ჯიბეში – ფულს, ტელეფონს ან გასაღებს. პალტოს დიდ ჯიბეში ხელებს ვყოფთ, რომ არ გაგვეყინოს...

მაგრამ, თუ იცი, რისთვის სჭირდება ჯინსის შარვალს პატარა ჯიბე?

ცნობილია, რომ ჯინსის შარვალზე პატარა ჯიბე 1873 წელს გაჩნდა. მისი დანიშნულების შესახებ არაერთი **მოსაზრება** არსებობს. გაეცანი რამდენიმე მათგანს.

პირველი – პატარა ჯიბე შარვალზე საათის ჩასადებად დააკერეს.

მაშინ, როცა ჯინსის შარვლის გაყიდვა დაიწყეს, მაჯის საათები არ არსებობდა. იმ დროს მამაკაცები საათს ჟილეტის პატარა ჯიბეში იდებდნენ. მოგვიანებით პატარა ჯიბე ჯინსის შარვალზეც დააკერეს. ფიქრობენ, რომ, ალბათ, ამის შემდეგ გადაინაცვლა საათმა ჟილეტიდან შარვლის ჯიბეში.

მეორე – პატარა ჯიბე ჯინსის შარვალზე ოქროს მარცვლების შესანახად დაამატეს.

ცნობილი ფაქტია, რომ ჯინსის პირველი მყიდველები ამერიკელი ოქროსმაძიებლები იყვნენ. ნაპოვნი ოქროს მარცვლების შესანახად მათ ჯინსის პატარა ჯიბე გამოიყენეს. ჯიბე მალე იხეოდა. თუმცა მარცვლები უფრო დიდ ჯიბეში ცვიოდა.

მესამე – ჯინსის პატარა ჯიბეში **ხურდა ფულს** იყრიდნენ. თუ **მონეტები** ჯიბეს გახევდა, ფული დიდ ჯიბეში აღმოჩნდებოდა.

ასეთია შარვლის პატარა ჯიბის ისტორია. თუმცა არავინ იცის, რომელია უფრო ახლოს სიმართლესთან.

შენ რისთვის იყენებ პატარა ჯიბეს?

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ვარაუდობენ, რომ ჯინსზე პატარა ჯიბე საათის ჩასადებად დააკერეს.

ბ) სასურველია, რომ პატარა ჯიბე ნებისმიერ შარვალს ჰქონდეს.

გ) ცნობილია, რომ პატარა ჯიბე ჯინსის შარვალზე 1873 წელს გაჩნდა.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) ფიქრობენ, ჯინსის პატარა ჯიბეში ოქროს მონეტებს ინახავდნენ.

ბ) ჯინსის პირველი მყიდველები ამერიკელი ოქროსმაძიებლები იყვნენ.

გ) როგორც ირკვევა, ძველად მამაკაცები საათს ჟილეტის ჯიბეში ინახავდნენ.

3 ტექსტში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ:

ა) რა დანიშნულება აქვს პიჯაკის გულის ჯიბეს.

ბ) რატომ ატარებდნენ საათს ჟილეტის პატარა ჯიბით.

გ) როდის დაიწყეს საათისთვის ჯინსის პატარა ჯიბის გამოყენება.

4 ტექსტში <u>არ ჩანს:</u>

ა) რა მოსაზრებები არსებობს ჯინსის პატარა ჯიბის შესახებ.

ბ) რით განსხვავდება ტანსაცმლის ჯიბეები ერთმანეთისაგან.

გ) რომელი მოსაზრებაა უფრო ახლოს სიმართლესთან.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე წინადადებებში ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ჯიბის დანიშნულების შესახებ რამდენიმე **მოსაზრება** არსებობს.
   ა) მაგალითი. ბ) ფაქტი. გ) შეხედულება.

2. ჯინსის პატარა ჯიბეში **ხურდა ფულს** იყრიდნენ.
   ა) ქაღალდის ფულს. ბ) ძველ ფულს. გ) წვრილ ფულს.

3. **მონეტები** ჯიბეს ხევდა.
   ა) ლითონის ფული. ბ) ოქროს მარცვლები. გ) ქაღალდის ფული.

2 რომელია ზედმეტი?

ა) პალტო. ბ) ჯიბე. გ) პიჯაკი. დ) შარვალი.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ზოგი – ყველა. ბ) მოგვიანებით – ნაადრევად. გ) სიმართლე – სინამდვილე.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე სწორად ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ტექსტი მოგვითხრობს ჯიბის (*ისტორია*) ---------- შესახებ.
2. ყველა (*ჯინსი*) ---------- პატარა ჯიბე აქვს.
3. პალტოს (*დიდი*) ---------- ჯიბეში ხელებს ვითბობთ.

2 დაწერე მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: წელი – წლები.

შარვალი – ----------.

მარცვალი – ----------.

ჯიბე – ----------.

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მონეტა ჩავარდა – მონეტები ჩაცვივდა.

მარცვალი დავარდა — მარცვლები ----------.

გრამატიკა

4 რომელია <u>არასწორი</u>?

ა) რამდენიმე მოსაზრებები.

ბ) საინტერესო მოსაზრებები.

გ) ცნობილი მოსაზრებები.

5 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის, რაც დააკერეს, არის დაკერებული.

1. ის, რაც ჩადეს, არის ----------.

2. ის, რაც დაამატეს, არის ----------.

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან ის მოსაზრებები, რომლებიც გამოთქმულია ჯინსის პატარა ჯიბის დანიშნულების შესახებ. დაწერე, კიდევ სამი განსხვავებული რამ, რისთვისაც დღეს შეიძლება გამოიყენონ უფროსებმა თუ ბავშვებმა ჯინსის პატარა ჯიბე.



2 დახატე ის ნივთები, რომლებიც შეიძლება ჩაიწყო პატარა ჯიბეში.